ცნობის ფურცელი

№ 2474 ხუთშაბათი, 22 აპრილი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2474

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე- თ—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გამოვიდა და იყიდება ყველგან წიგნის მაღაზიებში

ვ. მღვიმელი
სამი ცელქი
საყმაწვილო წიგნი სურათებით

15 კაპ.

ვ. მღვიმელი
და
საყმაწვილო წიგნი სურათებით
ტფილისი
1904

10 კაპ. (6—168—2)

ქართული წარმოდგენა არტისტიულ საზოგადოების თეატრში

ხუთშაბათს, 22 აპრილს, ქართულ-დრამატიულ საზოგადოების არტისტის ვალ. გუნიას მიერ წარმოდგენილ იქმნება სცენის მოყვარეთა დახმარებით

ლალატი

დრამა-ლეგენდა 5 მოქმ. თავ. ა. სუმბათაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი რომანიშვილი, კარგარეთელი, თარხნიშვილი, დავითიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. გუნია, ი. ზურაბიშვილი, გ. გედევანოვი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი, მჭედლიშვილი და სხვა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.

(უ. 2—2) რეჟისორი ნ. ი. ალექსი-მესხიშვილი.

Feriencolonien. „პატარა-ცემი“-ს Colonie des vacances.

საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის,

ბაკურიანის რკინის გზაზე, ბორჯომის მახლობლად, მთა ადგილზე, ფიჭვნარში, 4,400 ფუტის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლ-ნაკლენი, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭარბის ცდებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი სახრდო, ყოველგვარი ვარჯიშობა, წყლით ექიმობა და სხვა.

არ მიიღებიან მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიქლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელისამე მიზეზისა გამო მთა ადგილს ყოფნა არ არგებს.

ხანა: ორი თვე, 15 თიბათვიდან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებითი ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ან წერილობით შეიძლება მიჰმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისი, ნიკოლოზის ქ. № 46. (0—3)

ძმ. ნიკიტინების ცირკი რჩება მხოლოდ კვირამდის

ამ ორთ უკანასკნელ წარმოდგენისათვის მოწვეულია მთელს ქვეყანაში ცნობილი ნეგრი—სიმაღლეზედი ცეილონის კუნძულიდან **მისტერ რანნი.**

ხუთშაბათს, 22 აპრილს, ორი კავკასიური ჭიდაობა. 1. ა **მაისურაძისა** და **რუსიშვილის** შორის. პრემია 50 მან. მე-2 ჭიდაობა ცნობილ ფალავნებს **ცერაძისა** და თელაველ მოჭიდავის **არტემ ხანგულოვის** შორის. პრემია 25 მან. გამარჯვებულს. ბოლოს გაიმართება პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მანდილოსანთა კომიტეტმა

მოამზადა 25 აფიცრისა და 100 სალდათის საცვალი და ლოგინის მოწყობილება ბრძოლის ველზე არსებულ საავადმყოფოებისათვის.

ამ ნივთების დათვალიერება მსურველთ შეუძლიანთ ხუთშაბათს, 22, და პარასკევს, 23 აპრილს, დილის 10-დან ნაშუადღევის 5 საათამდე, კომიტეტის სახელოსნოში (გრიბოედოვის ქუჩა, სახლი თავ. ქობულიშვილისა). (2—ნ.—1)

ქალის ზედა ტანისამოსის

მაღაზია პორტუგალოვისა

სასახლის ქუჩაზე. ვაჭრობის შეჩერების გამო დანიშნულია

15 დღით იაფი ვაჭრობა

ახალ მოდის საქონლისა საქარხნო ფასებით. აქვე დება დიდი სარკე და კასსა. (5—166—2)

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. გ. მალალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათამდე.

ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ბ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. ზანსვეტოვ.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. ა. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მალალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ილ.)ლის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—2 საათ საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 აპრილი

სევასტოპოლი. ადმირალი სკრიდლოვი საზღვაო საკრებულოში გამოეთხოვა აფიცრებს. ზალის კარებში სკრიდლოვს მიეგება ვიცე-ადმირალი კრიგერი, რომელმაც გადასცა დასაკეცი ხატი წმ. გიორგისა, ნიკოლოზისა და ალექსანდრე ნეველისა, შემდეგ ხმა მაღლა წაიკითხა ადრესი: „თქვენო აღმატებულებავ ნიკოლოზ ილარიონის ძევ! რუსეთის მხედრობის უმაღლეს მბრძანებელის სურვილით დანიშნულ იქმენით დიდის ოკეანეს ფლოტის უფროსად. ძვირფას სამშობლოს თავგამოდებულ დამცველებთან ერთად თქვენ უნდა შეასრულოთ ძნელი და პასუხ-საგები მოვალეობა. ძლიერი და სასახელოა მომავალი საქმე, მაგრამ ამასთან საჭიროა დიდი მეცადინეობაც. ღმერთი იყოს თქვენი შემწე, რომ საქმე კეთილად დააბოლოვოთ. ჩვენ, შავის ზღვის მეზღვაურნი, მოგართმევთ დასაკეც ხატს, ვითარცა კურთხევას შავი ზღვის ფლოტისაგან. ვუერთდებით მთელ რუსეთს, ვლოცულობთ სევასტოპოლის გორაკებთან, რომელნიც რუსთ მებრძოლთა გმირობის მოწმენი არიან, და ვთხოვთ ყოვლად შემძლებელს, ხელი მოგიმართოთ თქვენ, მეფის მიერ არჩეულს, ძვირფას სამშობლოსა და ანდრეევის დროშის დასაცველად და დიდ ოკეანეს ნაპირებზე რუსეთის ძლიერების დასამკვიდრებლად“.

პორტ-არტური (საკუთარის კორესპონდენტისაგან). 20 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზე, გამოჩნდა იაპონელთა 5 ნაღმიანი გემი, რომელთაც სანაპირო ბატარეებ-სა და სდარაჯო გემების „გილიაკ“-სა, „გრემიაშჩი“-სა და „ოტვაჟნი“-დან სროლა დაუწყეს და აიძულეს უკან წასულიყვნენ. ამ დროს ჰორიზონტზე გამოჩნდნენ იაპონიის გემები. ყველაზე წინ სამხრეთიდან მოდიოდა ბრანდერი, რომელიც ნავთსადგურის შესავლისაკენ მიემართებოდა. ამ ბრანდერს ჩვენებმა ზარბაზნები დაუშინეს და 1 საათსა და 20 წუთზე ჩასძირეს. 2 საათსა და 25 წუთზე გამოჩნდა 4 სხვა ბრანდერი: სამი გაემართა იქით, სადაც ჩვენი ნაღმები ეწყო. ოთხი ბრანდერიდან ორი მაშინვე ჩასძირა, ხოლო მესამე და მეოთხე ჩაიძირა ჩვენის ბატარეებისა და გემების ყუმბარებისაგან. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა „ასკოლდი“. 2 საათსა და 40 წუთზე სამი ბრანდერი კიდევ გამოჩნდა. აქედან ერთი აფეთქებულ იქნა, მეორე მოტრიალდა და ნაპირზე გაირიყა და მესამეც ჩაიძირა ჩვენის ყუმბარებისაგან. ბრძოლის დაწყებისას ნამესტნიკი, შტაბის უფროსი, ფლაგ-კაპიტანი და შტაბის მოხელენი „სევასტოპოლის“ ორთქლმავალ ნავით „ოტვაჟნი“-ზე წავიდნენ. ბრძოლა ჯერ არ გათავებულა.

პორტ-არტური. 4 საათსა და 15 წუთზე გამოჩნდა იაპონელთა ჯერ ერთი ნაღმიანი გემი, შემდეგ ოთხი სხვა. აქედან ორი ჩაძირულ იქმნა ბატარეებისა და გემების ყუმბარებით, ხოლო ორი დაზიანდა. ეს დაზიანებული გემები მტერმა ბუქსირით წაიყვანა. ბრანდერებიდან ისროდნენ მსწრაფლ-მსროლელ ზარბაზნებს. ჩაძირულ ბრანდერების მეზღვაურნი ნავებში სხდებოდნენ და ზღვაში მიდიოდნენ. ამ მეზღვაურებს ჩვენ მხნედ ვესროდით ზარბაზნებსა და თოფებს. მეზღვაურთა უმეტესი ნაწილი დახოცილია, ზოგიეროები კი ხელში ჩავიგდეთ და იარაღი ავყარეთ. გათენებისას დავინახეთ ორ ბრანდერის ხიდებსა და საკვამლეებზე გადარჩენილი იაპონელები. იმ წამსვე გავგზავნეთ ნაპირიდან და „გილიაკიდან“ ნავები და გადავარჩინეთ 9 კაცი. მტრის გადასარჩენად გაგზავნილი კაცები დიდ საფრთხეში იყვნენ, რადგან ზღვა ძლიერ ღელავდა. ბრანდერების იერიშის დროს მტრის გემები პროჟექტორებს ხმარობდნენ. იაპონელთა ზარალი: დაიჭრა 7 მეზღვაური, მძიმედ დაიჭრა 2 აფიცერი, გარდაიცვალა ჭრილობისაგან 13 კაცი, გადარჩენილია და დატყვევებული 9. დაჭრილებს მოუარეს, ტანისამოსი ჩააცვეს და საჭმელი მისცეს ჩვენმა მეზღვაურებმა. დაჭრილები გაგზავნეს: გემ „მონგოლია“-ზე სამი კაცი, ნავთ-სადგურსა, ნავთ-სადგურის საავადმყოფოებსა და „ვეფხვის კუდზე“ სამი კაცი. თუმცა ცხარე ბრძოლა იყო, მაგრამ ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. დატყვევებულთა ერთ ნაწილს ჩვენება ჩამოართვეს; იმათ აჩვენეს, რომ ბრანდერები კორეის ნავთ-სადგურებიდან გამოვიდნენო. ბრანდერებზე მხოლოდ საზღვაო რაზმები იყვნენ.

21 აპრილი.

პეტერბურგი. ნამესტნიკის დეპეშა, დიდის მთავრის ალექსეი ალექსანდრეს ძის სახელობაზე გაგზავნილი 20 აპრილს 1904 წ.: „უერთგულესად ვაუწყებ თქვენს უმაღლესობას, რომ 20 აპრილს იაპონელებმა კვლავ მოიტანეს იერიში პორტ-არტურზე, რათა შეეკრათ ნავთსადგურის შესავალი, მაგრამ განზრახვა ვერ შეასრულეს. ნაშუაღამევის 1-ლ საათზე ჩვენ სიმაგრეებიდან შეამჩნიეს იაპონელთა 5 ნაღმიანი გემი, რომელთაც ჩვენმა ბატარეებმა ყუმბარები დაუშინეს და სამხრეთისაკენ დააწევინეს. 1 ს. და 45 წუთზე გამოჩნდა პირველი გემი-ბრანდერი, რომელსაც რამდენიმე ნაღმიანი გემი მოჰყვებოდა. ბრანდერს დაუშინეს ზარბაზნები ჩვენ სიმაგრეებსა და გემებიდან. 3/4 საათის შემდეგ პროჟექტორების სინათლეზე გამოჩნდა მთელი რიგი გემ-ბრანდერებისა, რომელნიც ნავთსადგურის შესავლისაკენ მოდიოდნენ აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. „ოტვაჟნი“, „გილიაკი“ და „გრემიაშჩი“ და ნაპირის ბატარეები მარჯვედ ესროდნენ ყუმბარებს და ნაღმებს, რის გამო დაიღუპა 8 ბრანდერი გარე რეიდზე. გარდა ამისა ბატარეებისა და ნავის „გილიაკ“-ის უფროსები ამბობენ, რომ სიმაგრეების არტილერიამ დაღუპა იაპონელთა ორი ნაღმიანი გემი, რომელნიც შემდეგ ჰორიზონტზე გამოჩნდნენო (?). ყველა ბრანდერზე მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნები იყო, რომელთაც იაპონელნი განუწყვეტლივ ისროდნენ. იაპონელ მეზღვაურთაგან, რომელნიც ნავებზე გადასხდნენ და წასვლას აპირებდნენ, ჩვენ დავიჭირეთ და ბრანდერებიდან ჩამოვსხით 30 კაცი, მათ შორის 2 სასიკვდილოდ დაჭრილი აფიცერი. ნავთსადგურის დათვალიერებას და მეზღვაურთა გადარჩენას ხელი შეუშალა ზღვის ღელვამ. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია; დაგვიჭრეს მსუბუქად მხოლოდ ერთი ჯარის-კაცი ნაღმიან გემ „ბოევოი“-ზე. როცა 1-ლი ბრანდერი გამოჩნდა ნაღმიანის გემებით, მე, შტაბის უფროსის ჟილინსკისა და ფლაგ-კაპიტანის ებერგარდის თანხლებით, გადავედი ნავ „ოტვაჟნი“-ზე, რათა ხელმძღვანელობა გამეწია იერიშის მოსაგერებლად; პორტ-არტურის სიმაგრეებზე-კი გენ.-ლეიტ. სტესსელი

დარჩა. გემ „გილიაკ"-ზე იყო კონტრ-ადმირალი ლოშჩინსკი, რომელსაც რეიდის დაცვის საქმე აქვს მინდობილი".

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მის უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი 19 აპრილს: „რადგან ტელეგრაფის მოქმედება შეწყვეტილ იქნა, გენერალ ზასულიჩისაგან ცნობები არ მიმიღია. ფინხუანჩენიდან მოსულთაგან გავიგე, რომ 18 აპრილს იაპონელებმა, რომელთაც არტილერიაცა და ჯარიც ბევრად მეტი დ ძლიერი ჰყავდათ, იერიში მიიტანეს წინიდან ჩვენის ჯარების მარცხენა ფრთაზე და წრე შემოავლეს. მოხდა საშინელი ბრძოლა, რომელშიაც ჩვენის მხრით მონაწილეობა მიიღეს მსროლელთა მე-22 და მე-12 პოლკებმა. ხან მედგრად თავს ვიცავდით, ხან მტერს თავს ვესხმოდით და დიდ ზარალს ვაყენებდით, მაგრამ ჩვენმა სუსტმა ჯარმა პოზიცია ვერ დაიცვა და უკან დაიწია. ბრძოლის ველზე დავტოვეთ რამდენიმე ზარბაზანი, რომელიც მტერს ჩაუვარდა ხელთ. ეს ზარბაზნები ჩვენმა ჯარმა თან ვერ წაიღო, რადგან ბევრი ხალხი და ცხენი დაგვიხოცეს, მაგრამ კლიტეები-კი ავხსენით დატოვებულ ზარბაზნებს. ჩვენმა ჯარებმა ფინხუანჩენისაკენ დაიწიეს. სულ გენერალ ზასულიჩის განკარგულებაში ბრძოლის დღეს იყო ხუთი პოლკი და ხუთი ბატარეია, რომელთაგან ერთმა პოლკმა და ორმა ბატარეიამ, რომელნიც შახეძასთან იდგნენ, ბრძოლაში მონაწილეობა ვერ მიიღეს, რადგან ამ მხრიდან იაპონელნი ჩვენს ჯარს არ დასხმიან. რამდენი კაცი მოგვიკლეს და დაგვიჭრეს. ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ რადგან მეტად მედგარი ბრძოლა იყო, ჩვენი ზარალი მეტად დიდი უნდა იყოს".

პორტ-არტური, 20 აპრილი (საკუთარის კორესპონდენტისაგან. გაგრძელება). დილამდის ათზე მეტი მტრის ნაღმიანი ნავი შორს იყო გაჩერებული, რემელთაც შორიდან ყუმბარებს ვესროდით. დილის ათის ნახევარზე მოვიდა ამბავი, რომ იაპონიის ესკადრა ახლოს არისო. ნაპირზე გამორიყა მტრის ორი ნავი.

დილის შვიდის ნახევარზე მოვიდა მატარებლით დიდი მთავარი ბორის ვლადიმირის ძე.

პორტ-არტურის აუარებელი მცხოვრებლები ყურადღებით თვალ-ყურს ადევნებენ დიდებულ ბრძოლის სურათს, რაიცა ამტკიცებს იმას, რომ ისინი დამშვიდებულნი უცქერიან ომს. თუმცა ზარბაზნების შეუწყვეტელი სროლა იყო, „ნოვი კრაის" სტამბას, რომელიც ნავთ-სადგურის ახლოს არის, ერთ წუთსაც არ შეუჩერებია სამუშაო ნომერის გამოსაცემად, რომელიც გამოვიდა ჩვეულებრივ დროზე, დილის 8 საათზე.

პეტერბურგი. გენერალ სახაროვის დეპეშა, მთავარ-შტაბში გაგზავნილი 19 აპრილს 1904 წ.: „18 აპრილს სინიუჩენიდან ჩრდილოეთით ნაპირს მიუახლოვდა 6 ვერსის მანძილზე ორი გემი, რომელნიც ნაღმიან გემებსა ჰგავდნენ. გაიჯოდან დასავლეთით დაინახეს ჯერ ორი ორთქლმავალი გემი, რომლებიც ნაშუადღევის 3 საათამდის ნაპირის სიახლოვეს მიდიოდნენ, შემდეგ კი—10 გემისაგან შემდგარი ესკადრა, რომელიც ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ მიდიოდა. ინკოუსთან გემები არ გამოჩენილა."

მუკდენი, 20 აპრილი (საკუთარის კორესპონდ.). მიღებულ ცნობებიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ 18 აპრილს ტიურენჩენთან მომხდარი ბრძოლა მეტად სერიოზული იყო. ბრძოლაში უმთავრესად მონაწილეობას იღებდნენ მე-12-ე და მე-22-ე მსროლელთა პოლკები და არტილერიის მე-6 ბრიგადის ბატარეია. ჩვენმა ჯარმა მტერზე რამდენჯერმე იერიში მიიტანა, მაგრამ რადგან მტერი ჩვენზე უფრო მეტი იყო და ზარბაზნებიც მეტი ჰქონდა, ამიტომ ჩვენმა ჯარმა ბრძოლით ფინხუანჩენისაკენ დაიწია. იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ჩვენი ზარალი ჯერ არ გამორკვეულა, მაგრამ რადგან ბრძოლა ცხარე იყო, დიდი უნდა იყოს. მტრის რაოდენობისა და მიზნის გამოსარკვევად ზომები მიღებულია.

სევასტოპოლი. შორეულ აღმოსავლეთს მიმავალი ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი გულწრფელ მადლობას უძღვნის ყველა დაწესებულებას, საზოგადოებას და კერძო პირს, რომელთაც კეთილი მგზავრობა უსურვეს და გზა დაულოცეს.

სეული („რეიტ. სააგ."). კულენჩენთან მომხდარ ბრძოლის შემდეგ იაპონიის ცხენოსანმა ჯარმა სდევნა რუსეთის ქვეითა ჯარი მთების იქითა მხარეს, ფინხუანჩენისაკენ.

შანჰაი. რუსის ყველა ჯარები, რომელნიც ნიუჩუანთან იყვნენ, ნაპირებზე დააყენეს, რადგან მოელიან, რომ იაპონელები ნაპირებზე გადმოსხამენ ჯარს.

ტიანძინი („რეიტ. სააგ."). რუსეთის მოხელეთ ცნობა მოუვიდათ, რომ იაპონელთა 9 სავაჭრო გემი სწრაფად მიდიოდა პორტ-არტურის შიგნით რეიდის შესავლისკენ, იმ განზრახვით, რომ შეეკრათ იგი, მაგრამ განაპირა ბატარეების ყუმბარებმა დალეწეს ეს გემები. შესავალი თავისუფალი დარჩა.

სევასტოპოლი. სალამი რომ მოისმინა, სკრიდლოვმა სთქვა: „გულითა გმადლობთ, ბატონებო, მოგებებისა და კეთილ სურვილისთვის, რომელსაც უფრო იმიტომ ვაფასებ, რომ ჩემმა ძვირფასმა თანამსახურებმა გამომიცხადეს იგი. არა ჩვეულებრივმა გარემოებამ მაიძულა, ბრწყინვალე შავიზღვის ფლოტის სამსახურისათვის თავი დამენებებინა. მახსოვს ჩვენი საერთო მოქმედება ამ ერთის წლის განმავლობაში და მიხარიან, როცა ვხედავ, რომ ამ მოკლე დროში ბევრი კეთილი შედეგი მოჰყვა მას. პირველ ხანებში ჩემ განზრახვათ ხანდისხან ნდობით არ ეკიდებოდნენ, მაგრამ ეს უნდობლობა თანდათან ჰქრებოდა, როცა დარწმუნდნენ, რომ ყველა ჩემი მისწრაფება იმისკენ იყო მიმართული, რომ აღმოსავლეთში სამსახური სახელმწიფოს ღირსებისა და ჩერნომორის ფლოტის სასიქადულო ტრადიციების შესაფერ ხარისხზე დამეყენებინა. ვტოვებ სევასტოპოლს და ჩემ გულში ცოცხლად დარჩება შავი ზღვის სასიქადულო მეზღვაურთა ხსოვნა, რომელნიც გულით შევიყვარე და რომელთა რიცხვიდან გამოვარჩიე დღეს ჩემ უახლოეს თანაშემწეთა უმთავრესი ნაწილი მომავალ პასუხ-საგებ და ძნელ სამსახურისათვის. კიდევ გიძღვნით ყველას გულწრფელ, რუსულ მადლობას". აუარებელი ხალხი იყო თავმოყრილი ადმირალ სკრიდლოვის გასაცილებლად. ყველანი გზას ულოცავდნენ; ქალაქის მოურავმა დასაკეცი ხატი მიართვა; ებრაელთა რაბინმა მიართვა დაბადება. ყველანი კეთილ სურვილს უცხადებდნენ ადმირალს, რომელმაც ამ მოკლე ხანში საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

მუკდენი, 20 აპრილი (საკუთ. კორესპ.). 19 აპრილს, ღამე, პორტ-არტურს მოუახლოვდნენ იაპონელთა 8 ბრანდერი და ნაღმიანი გემები. გასავლის პირდაპირ მდგომმა ჩვენმა გემებმა და სანაპირო ბატარეებმა ზარბაზნები დაუშინეს. ბრანდერებმა მიზანს ვერ მიაღწიეს და დაიძირნენ. გასავალი თავისუფალია.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. იაპონიის პირველი არმია გენერალ-ლეიტენანტ კუროკის უფროსობით მდ. იალუზე გადავიდა. ინგლისურ გაზ. „სტანდარტ"-მა ამას წინად ასე დაახასიათა გენერალი კუროკი.

„იაპონიის პირველ არმიის უფროსი მეტად მამაცი, ფიცხი და მოხერხებული კაცია. რუსის გენერლები მდინარე იალუზე მალე გაიგებენ, რომ გენერალი კუროკი ნამდვილი მეომარი და მებრძოლი სარდალია".

„ტაიმს"-ის სამხედრო თანამშრომელი მეტად აქებს იაპონელების სამხედრო შნოსა და უნარს და თან ურჩევს, მანჯურიაში შორს ნუ წახვალთ, პორტ-არტური აიღეთ, ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულსა და კორეიაში გამაგრდით, და დაე თითონ რუსებმა მოიტანონ თქვენზე იერიშიო. („ნ. ვ.").

„დეილი ქრონიკლ"-ის საგანგებო კორესპონდენტი დეპეშით იუწყება სეულიდან: სარწმუნოდ გავიგე, რომ იაპონიის ჯარი ერთსა და იმავე დროს სამს სხვა-და-სხვა ადგილას დაეცემა რუსის ჯარებს. პირველი არმია მდ. იალუზე გადავა; მეორე არმია, დიდის ზარბაზნებით შეიარაღებული, პორტ-არტურისაკენ წავა და, ალბად, კვანტუნის ნახევარ-კუნძულის ორსავ მხარეზე გადავა. მესამე არმია დაგუშანში, ან იმის ახლო გადავა სადმე („პ. ვ.").

„დეილი მეილ"-ი იუწყება: ჩრდილოეთ-იაპონიაში, კუნძულ იეზოზე, ნავთ-სადგურს ხაკოდატეში იაპონელები ჯარს ამზადებენ ბრძოლის ველზე გასაგზავნად. ამბობენ, ეს ჯარი ვლადივოსტოკს დაეცემაო. იაპონელები ამბობენ, რუსებს პოსიეტის ყურესთან 4 ათასი ქვეითა ჯარის კაცი ჰყავთ და 1,500 ცხენოსანიო. („ნ. ვ.").

„სენტრალ ნიუს"-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: აქ ცნობა მოვიდა, რომ რუსის ჯარის საკვები სურსათი მეტ ნაწილად ლიაოიანიდან ფინხუანჩეში გადმოიტანესო. („მ. ვ.").

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის სამხედრო კორესპონდენტი პოლკოვნიკი გეტკე იუწყება ხარბინიდან: ომამდე რუსებს პორტ-არტურში მხოლოდ 8 ათასი ჯარის-კაცი ჰყავდათ და მთელ მანჯურიაში 120 ათასი კაციო. („ნ. ვ.").

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტს პარიზში გამოჩენილ იაპონელ დიპლომატთან, ალბად თითონ იაპონიის ელჩთან, რუსეთ-იაპონიის ომზე უსაუბრნია. დიპლომატს უთქვამს: სამხედრო კრიტიკოსები გვკიცხავენ, იაპონიამ ჯარის გადმოყვანა ხმელეთზე მეტად დააგვიანაო. იაპონელები, რაც-კი შეიძლებოდა, ძლიერ სცდილობდნენ, ჯარი მალე გადმოეყვანათ, მაგრამ ევროპაში წარმოდგენაც არა აქვთ, თუ რა საშინელი მძიმე საქმეა შორეულ-აღმოსავლეთში სამხედრო მოქმედება: იქ არც გზაა, არც კვალი. ამას გარდა, საკვებ სურსათის შოვნაც მეტად გასაჭირია იაპონელებისათვისაც და რუსებისათვისაც. ვერც რუსის ჯარი იშოვის ბრძოლის ველზე სანოვაგეს, ვერც იაპონიისა. ამიტომ ყველაფერი შინიდან უნდა მიიტანონ. ამბობენ აგრეთვე, ვითომ იაპონელები მდ. იალუზე შედგებიან და მანჯურიაში აღარ წავლენო, მაგრამ ეს არაფერს არ ეგვანება, რადგან დიდი ბრძოლა მხოლოდ მანჯურიასა და ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე მოხდება. იაპონელ დიპლომატს არა სჯერა, რომ რუსეთმა ბალტიის ესკადრა გაგზავნოს შორეულ-აღმოსავლეთს, რადგან გზაში ქვა-ნახშირის შოვნა მეტად გაუჭირდება. დიპლომატის აზრით, პორტ-არტურის აღება ზღვიდან შეუძლებელი საქმეა. („რ. ვ.").

„მატენ"-ის კორესპონდენტი იუწყება ხარბინიდან: ხარბინი მეტად საძაგელ სანიტარულ მდგომარეობაშიაო. ამ ქალაქში არც ქუჩებია მოკირწყლული, არც კანალიზაციაა, არც უსუფთაობის ორმოები. ხარბინში ამ ორის წლის წინად ხოლერა იყო, სახადი ხომ ყოველ წელიწადს მძვინვარებს და იქმნება წელს ყველა ამას შავი ჭირიც მოემატოს. სახლის პატრონებს თავიანთ სახლებს ახლო არხები გაუთხრიათ და ზედ ფიცრები დაუწყვიათ. ხალხი ამ ფიცრებზე დადის, ფიცრების ქვეშ, არხებში-კი ათასი უწმინდურება ჰყრია. ზაფხულში აქ 35° სიცხე იცის. აბა იფიქრეთ, იმ სიცხე-პაპანაქებაში რა საშინლად აყროლდება აქაურობა. ამას ჩინელების სიბინძურეც დაუმატეთ და მაშინ თვალ-ნათლად წარმოიდგენთ, რა ბედი მოელის ყველას, ვინც-კი საზაფხულოდ ხარბინში დარჩება. ამას გარდა, დაჭრილი მეომრები ხარბინში მოჰყავთ მოსარჩენად. იქმნება იარები მოურჩინონ, მაგრამ დაჭრილები უსათუოდ დაიხოცებიან ხოლერისა და სახადისაგან. სჯობია რუსებმა ეხლავე ფული დახარჯონ, ხარბინი გაასუფთაონ და მრავალი ხალხი სიკვდილს გადაარჩინონო. („ნ. ვ.").

„რუსკოე სლოვო"-ს სამხედრო კორესპონდენტი ცნობილი მწერალი ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო დეპეშით იუწყება პორტ-არტურიდან: „რუსის მეზღვაურები იაპონელების უმავთულო ტელეგრაფის დეპეშებს იჭერენ ხოლმე. იაპონელებმა იციან ესა და რუსის მეზღვაურების მოსატყუებლად განგებ სხვა-და სხვა ტყუილ დეპეშას ჰგზავნიან. ასე, მაგალითად, 2 აპრილს იაპონელების დეპეშაში ბძანება ეწერა, დაუყოვნებლივ ერთი დივიზია ჯარი გადაიყვანეთ პორტ-არტურთანაო; მეორე დეპეშაში ეწერა, პორტ-არტურის რეიდისაკენ ტივები და სავაჭრო გემები გაუშვითო. ერთს დეპეშაში ნაბძანები იყო, პორტ-არტურში წყალ-ქვეშ მავალი ნავები გაგზავნეთო.

ნაღმებს იაპონელები რუსის ესკადრის გასასვლელ გზაზე ჩააწყობენ ხოლმე. 14 აპრილსაც ჩააწყეს, მაგრამ რუსებმა ამოიღეს ეს ნაღმები და ააფეთქეს.

იაპონელები ნაირ-ნაირ ნაღმსა ხმარობენ და ნაირ-ნაირად აწყობენ. ასე მაგალითად, ზოგჯერ ნაღმებს „თაიგულის" მსგავსად ჩააწყობენ ხოლმე: ერთ ჯაჭვზე სამი ნაღმია მიბმული. რამწამს გემი ერთს ნაღმს მოჰხვდება, მაშინვე დანარჩენი ორი ნაღმიც იფეთქებს და გემს ხელად ჰღუპავს".

„სენტრალ ნიუს"-ას სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: ამბობენ, გენ.-ად. ალექსეევმა უბძანა პორტ-არტურის ესკადრას, ყველა გემი თავის დანიშნულ ადგილას იდგეს და ნება-დაურთველად არ დაიძრასო. ნაღმიან გემებს ნაბძანები აქვთ, რომ ნა სადგურის შესავალს ბეჯითად ადევნონ თვა ყური. ორი ნაღმიანი გემი დღე და ღამ დარაჯადა სდგას. („რ. ვ.").

წყალ-ქვეშ მავალი ნავები რუსებს ომის წინ გაუგზავნიათ პორტ-არტურს და 11 აპრილს ზღვაში ჩაუშვიათ. („რ.").

„დეილი მეილ"-ს დეპეშით ატყობინებენ ნიუ-იორკიდან: იაპონელებმა ამერიკაში რამდენიმე წყალ-ქვეშ მავალი ნავი იყიდესო. ერთს ნავს, კაპიტან ლეკისაგან ნაყიდს, აპარატი აქვს გამართული ზღვის ძირზე გაყვანილ კაბელების გადასაჭრელად და ნაღმების ჩასაწყობად. ამას გარდა, ნავს ზღვის ძირზე სიარულისათვის თვლები აქვს გაკეთებული, ასე რომ ეს ნავი წყალ-ქვეშ მავალი ავტომობილი იქნება. ნავს სამი უაითხედის ნაღმიცა აქვს გაკეთებული, წყალ-რწყვა—170 ტონა აქვს, სიჩქარე—17 ვერსტს გადის საათში. („ნ. ვ.").

ადმირალ ვირენიუსს უთქვამს „მატენ"-ის კორესპონდენტისათვის: ბალტიის ესკადრას ორი გზით შეუძლიან შორეულ-აღმოსავლეთს წასვლა: სამხრეთ-აფრიკის გზით, ან სუეცის არხით. პირველი გზა (სამხრეთ-აფრიკის გარშემო) მეტად გრძელი და ცუდი გზაა, რადგან ამ გზაზე არც დოკებია გემების შესაკეთებლად, არც ქვა-ნახშირი იშოვება. ამიტომ ბალტიის ესკადრას სუეცის არხით მოუხდება წასვლა. ესკადრის უფროსად, ალბად, ადმირალ როჟდესტვენსკის დააყენებენ. ადმირალ ვირენიუსის აზრით, იაპონელები ვერ გაჰბედავენ ბალტიის ძლიერ ესკადრასთან გაშლილ ზღვაში შებმას. („ბ. ვ.").

„მორნინგ პოსტ"-ი იუწყება: რუსებმ მდ. იალუს შესართავში ნაღმები ჩააწყეს, მაგრამ როცა წყალი დაპატარავდება ხოლმე, ეს ნაღმები ჩნდებაო.

ამერიკული გაზეთები იუწყებიან: იაპონიამ ინგლისში მაქსიმისა და არმსტრონ ვერფებს ორის დიდის ჯავშნიან გემის აშენება შეუკვეთაო. ამისთანა ჯავშნიანი გემები ჯერ არც ერთს ევროპის ფლოტს არა აქვს. ამ გემებს სიგძე 445 ფუტი ექნება, ესე იგი ინგლისის უდიდეს ჯავშნიან გემებზეც 20 ფუტით მეტი სიგძე ექნებათ. სიგანე 78 ფუტი ექნებათ, წყალში 26 ფუტის სიღრმეზე იდგებიან. იაპონელებს უფრო მეტი ზომის გემის აშენება უნდოდათ, მაგრამ ეხლანდელ დოკებში ამაზე განიერი გემი ვეღარ შევა. წყალ-წყვა ახალ ჯავშნიან გემებს—16,400 ექნება თითოს. უმთავრესი ბატარეები ისეთი ძლიერი ექნებათ, რომ ჯერ არც ერთს ფლოტს არა ჰქონია ისეთი. ყოველ ბატარეიაში 4 თორმეტ დიუმიანი ზარბაზანი ეწყობა, 4 ათ-დიუმიანი და 6 ექვს-დიუმიანი. გემებს გვერდის შუა ადგილას 9 დიუმის სის ჯავშანი ექმნება გაკრული, პალუბას ახლ 6 დიუმის სისქე. ამ ჯავშანს ქვეშ მთელს გემს 4 დიუმის სისქე ჯავშანი სხვა ექმნება გაკრული, ეს გემები საათში 33 ვერსტს ივლიან. ხელ-შეკრულობა ამ ვეება გემების აშენების თაობაზე დაიწერა კიდევაც. („ნ. ვ.").

ამას წინად გაზეთებში ცნობა იყო დაბეჭდილი, ვითომ რუსეთი სამხედრო საჭიროებისათვის საზღვარ-გარედ ფულს სესხულობსო. თუმცა ეს ცნობა რუსის მცოდნე წრეებმა გადაჭრით უარ-ჰყვეს, მაგრამ ინგლისური და ფრანგული გაზეთები მაინც დღესაც ირწმუნებიან, რუსეთი ამ მოკლე ხანში ფულს ისესხებსო. „ტაიმს"-ი სწერს: რუსეთი 320 მილიონს მანეთს სესხულობს; ახალი სესხი 5%-ანი იქნება, თითო ათ-თუმნიანი ობლიგაცია—98 მანეთად გაიყიდება. ამ ობლიგაციებს უმთავრესად რუსეთ-ჩინეთისა და ტინგერის ბანკები გაასაღებენო. („რ.

ახალი ამბავი

✦ დღეს, 22 აპრილს, საარტისტო საზოგადოების თეატრში სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება თავ. სუმბათაშვილის დრამა „ღალატი". ამ წარმოდგენაში სცენის მოყვარენიც იღებენ მონაწილეობას და მთავარ როლებსაც თამაშობენ.

◆ როგორც გავიგეთ, ქართულის თეა- რის არტისტს ბ-ნ გ. გედევანოვს (მირა- ანს) სომხურად გადაუთარგმნია ა. ცა- ლის ორი პიესა „ციმბირელი“ და „ბაი- ში“. თარგმანები უკვე დამთავრებულია მალე ბეჭდვასაც შეუდგებიან.

◆ „ნოვოე ობოზრენიე“-ს ქუთაისიდან წერენ: „ამ დღეებში ქუთაისის გარნიზონის როსმა გენერალმა ფლეიშერმა დაათვა- ერა ჩვენი საპყრობილე, სადაც მარტში რინის პოლკის მოდარაჯე ჯარის-კაცმა ოკლა ერთი პატიმარი.

„28 აპრილს ოლქის სასამართლო გამოცხადებს საბოლოო განაჩენს ჭიათურაში მხდარ არეულობათა საქმის შესახებ“.

◆ ამ დღეებში **საბურთალოს** მცხოვრებთ თხოვნიათ გუბერნატორისათვის, განკარგულება მოახდინეთ, რომ საბურთალო ქალაქს შეუერთონო. გუშინ ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა ქალაქის მოურავს მიწერ-მოწერა ამ საქმის შესახებ.

◆ ბ-ნმა ნ. ზ. ცხვედაძემ გუშინ წარუ- გინა ტფილისის ქალაქის გამგეობას **ვარაზისხევისა და ვაკის მემამულეთა** გადაწყვეტილება. მემამულენი კისრულობენ ნა- ევარ ხარჯს ამ კუთხის დაგეგმვისა და ქუ- ების გასაყვანად, ხოლო ნახევარი ხარჯი ქალაქმა უნდა იკისროსო.

◆ 18 აპრილს ბათუმში გარდაიცვალა კავკავის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე **ნიკოლოოზ ჭიჭინაძე**. განსვენებულს კავკავში დაასაფლავებენ.

◆ ამას წინად უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ვერაზე ოთხი ვიღაც **შეიარაღებული** კაცი **დაეცა** მეპურეს სეროფ ქაბაბჩიანცს და წაართვა 3000 მანეთზე მეტიო. სამაზრო პოლიციას კვალისთვის მიუგნია და დაუპატიმრებია ერთი საეჭვო კაცი, სენაკის მაზრის მცხოვრები, მიხეილ ჯაყობია. მეპურეს ქაბაბჩიანის მსახურს კარაპეტ მელიქიანცს უთქვამს, ერთი ჩვენ გამძარცველთაგანი ჯაყობია არისო.

◆ ლოძის ერთ დიდ სავაჭრო ფირმას ღია კარგა მოზრდილი ადგილები მუღანის ლში **ბამბის დასათესად**.

◆ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ აბას- ადის მოედანთან ციციკოვის **სახლის კედელი ჩამოინგრა** და ქვეშ მოიტანა ერთი სპარსელი. საგუბერნიო ინჟენერმა გასინჯა სახლი და აცნობა გუბერნატორს: ციციკოვის სახლის ჩამონგრევის მიზეზი ერთი ის არის, რომ მუშაობისთვის ჯეროვანად ყური არ უგდია ინჟენერ ბალიავსკის და მეორე ის, რომ ქალაქის საამშენებლო განყოფილების მოხელეთა სიმცირისა გამო სატეხნიკო ზედამხედაობა ვერ არის მოწყობილი სასურველად. ტეხნიკოსებს დიდი რაიონები აქვთ და საქმეს ვერა სწვდებიანო. გუბერნატორმა ეს ამბავი აცნობა გუშინ ქალაქის მოურავს და წინადადება მისცა ილონოს რამ საამშენებლო განყოფილების მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად. როგორც გუშინვე ეცნობა გუბერნატორს, გამგეობამ უკვე შეიმუშავა ეს საკითხი და მალე საბჭოს წარედგინება განსახილველად.

◆ **ტფილისის სასულიერო სემინარიაში** სწავლა ამ თვის 28 თავდება. პირველ მაისიდან, ვიდრე მაისის გასულამდე, მოხდება მოსწავლეთა გამოცდა. წელს სასულიერო სემინარიას ათავებს 22 კაცი. მათ შორის თხუთმეტამდის ქართველია.

◆ ნიხრის გამწესებელმა კომისიამ დაადგინა, მომატოს ნიხრს თითო კაპეიკი. ამ რიგად კომისიის დადგენილებით პირველი ხარისხის ხორცი უნდა გაიყიდოს 21 კაპ., მეორე 11 კაპ. და მესამე 8 კაპ. ცხვრის ხორცზე დაწესდა გირვანქაზე 12 კაპ. კომისიას იმაზედაც ჰქონდა ლაპარაკი, რა ზომები მიიღოს, რომ ყასბებმა ნიხრი არ დაარღვიონ. კომისიამ დაადგინა, სთხოვოს საბჭოს რამე საშუალებანი იქმნეს შემუშავებული, რომ კომისიის დადგენილება სრულდებოდესო.

◆ მე-44 დრაგუნთა ნიჟეგოროდის პოლკის უფროსს შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობამ, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებას დავალებული აქვს გაიყვანოს ნავთლუხის გზა 1906 წლის დასასრულამდე, მაგრამ გამგეობა ყოველს ღონეს იხმარს, რომ გზის გაკეთება დააჩქარებინოს უსახელო საზოგადოებასაო.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა მცხოვრებლებმა გუშინ საერთოდ მიჰმართეს ქალაქის გამგეობას და სთხოვეს გააკეთებინოს წყლის ონკანი.

◆ 19 აპრილს, მე-136-ე ვერსზე ყარსის გზაზე ბერძენი ირიკა გვირაბის თაღზე მუშაობდა, უცბად ფეხი დაუსხლტა და გადმოვარდა. თუმცა ოთხის საჟენის სიმაღლიდან დაეცა ძირს, მაგრამ ისე ძლიერად დაშავდა, რომ მორჩენა საეჭვოა.

◆ **სადგური სადახლო** (ყარსის შტო). 20 აპრილს დიდის წვიმების გამო ისე ადიდდა მდინარე, რომ რკინის გზის ლიანდაგი მე-77-ე ვერსზე დააზიანა, რის გამოც სახალხო მატარებელი №-75 ორ საათ ნახევარს შეჩერდა.

◆ პირიქით ხევსურეთიდან გვატყობინებენ, რომ სოფ. არდოტის მცხოვრებს ბაისერ მურღოევს ძლიერი ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლმა იმსხვერპლა სოფ. ნანაბოს მცხოვრები ქალი ნანა ბუჩუკური, რომელიც მთლად დაიწვა. გარდა ამისა დაიწვა 9 სული მსხვილფეხი საქონელი, მთელი სახლის ავეჯი და პური, სულ 800 მანეთისა.

◆ **კაცის დაჭრა**: სოფ. ქოთაანის მცხოვრებმა სანდრო ალავერდაშვილმა სიმთვრალის დროს ხანჯლით დასჭრა მირზაანის მცხოვრები ვასილ ბარიაშვილი.

◆ სოფ. ვაქირის მცხოვრები ნიკო დავითაშვილი და ნიკეშაშვილი გზაზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა თოფით დასჭრეს.

◆ სოფ. ჯვარამლოს (ბორჩ. მაზრა) მცხოვრებმე იოლჩი ყურბან-ოღლიმ ჩხუბის დროს თოფით დასჭრა სოფ. აბდალოს მცხოვრები სულეიმ-თაღი-ოღლი და ალაპკერა-პაპალ-ოღლი.

◆ სოფ. ნორიოდან (ტფილისის მაზრა) გვატყობინებენ, რომ კვირაცხოვლობა დღეს მამასახლისსა და რამდენსამე გლეხს ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც მამასახლისს სცემეს. ამ საქმის გამო შეიპყრეს და წარუდგინეს ტფილისის გუბერნატორს ოთხი გლეხი.

◆ სოფ. არჩუვანის (ბორჩალოს მაზრა) მცხოვრებმა მაშადი-მამედ-ნური-ოღლიმ განუცხადა ტფილისის გუბერნატორს, რომ ამ ერთის კვირის წინად ჩემი ცოლის ძმა ნავრუზ-გაჯი-ოღლი თავის ამხანაგ ჰასან-ოღლისთან ერთად წავიდა ახალქალაქის მაზრაში საქონლის სასყიდათ და უგზო-უკვლოდ დაიკარგნენო. ეხლა მატყობინებენ, რომ ჩემი ცოლის ძმა და იმისი ამხანაგი სოფ. ავოლთან მოუკლავთ და მიწაში დაუფლავთ, რადგან გაძარცვა სდომებიათო. ფულად ჰქონდათ 1700 მანეთიო.

◆ 20 აპრილს, ავლაბარში, ძმ. ფორაქაშვილის თივას ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი ისე გაძლიერდა, რომ მქრობელ რაზმის გამოწვევა მოუხდათ. რაზმმა ჩააქრო ცეცხლი. ზარალი არ არის გამორკვეული

◆ თათრის მოედნის მცხოვრებლებმა განმეორებით სთხოვეს ქალაქის გამგეობას ამ ნაწილში საზოგადო ფეხისადგილები გაკეთდეს, ურომლისოდაც დიდი უსუფთაობა და უწმინდურებააო.

◆ „ტფილისის კრუჟოკის“ მამასახლისს დაუქირავებია მდივნის ახლად აგებულ სახლის მეორე სართული „კრუჟოკის“ სადგომის გასაფართოვებლად. მამასახლისმა სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, ნება მოგვეცით კრუჟოკის გასაფართოებლად ქალაქის სახლის კედელი გამოვიღოთ და მდივნის სახლს შევუერთოთო.

◆ ტფილისის საბჭოს ხმოსანმა კოჟინმა გუშინ განცხადება წარუდგინა ქალაქის მოურავს და სთხოვა, საბჭომ განმათავისუფლოს ხმოსნის თანამდებობიდანაო.

ამ №-თან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ სურათებიან დამატების მე-212 №, რომელშიაც მოთავსებულია: №-ს, ლექსი ი. ევდოშვილისა. „მადონნას ბეწვი“, ივ. ნაჟივინისა. სურათები: „ბრძოლის ველზე“, ქანდაკება ანტოკოლსკისა; იაპონელთა ცხოვრებიდან (7 სურათი) და კარიკატურა.

ცეცხლისაგან დამზღვევ ქუთათურ საზოგადოების კრება

17 აპრილს მოხდა ამ საზოგადოების კრება მ. ა. ქიქოძის თავმჯდომარეობით. კრებას მოხსენდა საზოგადოების 10 წლის მოქმედების ანგარიში, 1903 წლის მოქმედების ანგარიში და სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ი. ი. პურადიშვილმა ითხოვა, რომ შემდეგში გამგეობის მოხსენებანი იბეჭდებოდეს ქართულად, რადგან საზოგადოების დიდს უმეტესობას ქართველები შეადგენენ, რომელთაც რუსული არ იციანო. ო. ბ. სვანიძემ წინადადება შეიტანა საზოგადოების წესდების § 1-ის შეცვლის შესახებ, რომ საზოგადოებას ნება მიეცეს დააზღვევოს ზოგიერთ ქალაქებისა და დაბების მამულები, მაგალითად, ფოთსა, ზუგდიდსა, ოზურგეთსა, სამტრედიასა, ახალ-სენაკსა, ხონსა და ყვირილაში, რომელთ მამულებს იგირავებს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი. კრებამ დაავალა გამგეობას შეიმუშაოს პროექტი ამის შესახებ და წარუდგინოს მომავალს საზოგადო კრებას. შემდეგ ამისა კრებამ ერთხმად დაამტკიცა წარსულის წლის ანგარიში. შეუდგნენ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

საზოგადოების თავმჯდომარეს წლიური ჯამაგირი ჰქონდა 750 მანეთი, გამგეობის წევრთ—ხუთას-ხუთასი, ბუხჰალტერს—400 მანეთი. კრებას ლაპარაკი ჰქონდა ჯამაგირების მომატებაზე. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა, გამგეობის წევრებსა და ბუხჰალტერს ისევ ძველი ჯამაგირები დარჩეს; თავმჯდომარეს კი მოემატოს 250 მანეთი; ჯამაგირები მოუმატეს აგრეთვე მწერალს 120 მანეთი და მცველს. კრებამ, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, დაადგინა, რომ იმ მამულების პრემიებზე, რომელნიც 11 წლის განმავლობაში შეუწყვეტლივ იზღვეოდნენ ქუთაისის საზოგადოებაში, დაწესდეს 20% შეღავათი (СКИДКА), გარდა ამისა, იმ მემამულეთ, რომელნიც სააქციონერო საზოგადოებათაგან ქუთაისის საზოგადოებაში გადმოაზღვევენ მამულს, დაზღვევიდან მესამე წელს მიეცეთ 10% შეღავათი. შემდეგ მოხდა არჩევნები. ერთხმად არჩეულ იქმნენ: გამგეობის თავმჯდომარედ ისევ გ. ს. აკოფოვი, იმის კანდიდატად—ვ. ი. პეტრიაშვილი; გამგეობის წევრად—ა მ. გაბაშვილი; ზედამხედველ კომიტეტის წევრებად—ლ. პ. კოკოჩაშვილი და თ. ა. მთავრიშვილი; მათ კანდიდატებად—ა. პ. ქურციკიძე და პ. ი. გოკიელოვი (უკანასკნელი ნაცვლად დ. ნ. ჩიკვაიძისა); სარევიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ისევ დ. ნ. აბდუშელიშვილი და ი. ი. პურადაშვილი.

დონ-ვალიანი

წერილები

ლარსი. (საქართველოს სამხედრო გზა). 12 ამთვეს სადგურ ბალთიდან ოთხი ვერსის მოშორებით ცამეტი ავაზაკი დაჰხვდა კობიდან კავკავისკენ ცხენის ურმით მიმავალს ოსს, რომელსაც დედაკაცი ეჯდა ურემში. ავაზაკებმა ოსს წაართვეს ცხენი, ტანისამოსი და სხვა, რაც ჰქონდა. აგრეთვე დედაკაცს მოჰხადეს თავშალი, შემოხსნეს ვერცხლის ქამარი და სხვა და გაიქცნენ თერგს გაღმა, სოფ. დლინიდალინისკენ (ქისტის სოფელია). გაძარცულმა ოსმა აცნობა ბალთაში დარაჯ ყაზახებს. ყაზახებიც წავიდნენ, მაგრამ ვერა იპოვნეს რა. ალაგას, გზას იქით კი არ გადადიან ყაზახები, ამბობენ: „ჩვენი საქმე გზაზედ არის, გზას იქით ჩვენი საქმე არ არისო“. დედაკაცის შეურაცხყოფა და გაძარცვა ქისტებში დიდი სირცხვილია, ახლა ესეც შემოიღეს. ამბობენ, ეს ავაზაკების ბრბო ვითომ ფოსტას უპირობდა დახვედრასა და რადგან ამ ოსს შეჰხვდნენ, ხელი შეეშალათო. **ქართველი ოსებში**

ხოტევი (რაჭა). დადგა თუ არა გაზაფხული, თან მოჰყვა ცუდი ამინდები; ხან თოვდა, ხან წვიმდა და ხანაც საზარელი ქარიშხალი იყო. მუშა კაცი სახლიდან ველარ გამოდიოდა და გულ-ხელ დაკრებილი შესცქეროდა მოღრუბლულ ცას, როდის ვეღირსები მზის სხივების დანახვას და გარედ გამოსვლასაო. აპრილმა ხომ სულ გული გაგვიხეთქა თავის სიჰინჭყლით. 4 აპრილს თოვლმა დაჰფარა დედამიწა და საგრძნობელი სიცივეც დაიჭირა. არ ვიცი, ცუდი ამინდის ბრალია თუ სხვა რამესი, აქაური ხალხის უზომო მოწყენა. მგონი, მოწყენილობის მიზეზი ულვინობა უნდა იყოს. დღესასწაულების დროს ყოველის მხრიდან მოისმოდა ათასგვარი სიმღერა. თუმცა იარაღი ახსნეს რაჭველებს, მაგრამ კაცის-კვლა და ჩხუბი არ მოსპობილა.

ხოტეველი ქალი

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 აპრილი.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინის დეპეშა, 20 აპრილს გამოგზავნილი: „20 აპრილს გამოგზავნილ გენერალ ზასულიჩის მოხსენებით, 19 აპრილს ტიურენჩენის პოზიციაზე ბრძოლა ასე მოხდა: მოხსენებულ პოზიციაზე ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა მე-12 და მე-22 პოლკებმა და მე-2 და მე-3 ბატარეიებმა მე-6 არტილერიის ბრიგადისა. ბრძოლის დასაწყისში მტერმა მძლავრად დაუშინა ყუმბარები ჩვენ მარჯვენა ფრთას საალყო ყალიბის ჩრეუს ბატარეებიდან და კუნძულების ველის ბატარეებიდან. რამდენიმე ხნით შესწყვიტეს სროლა და შემდეგ ისევ მეტად მძლავრად დაუშინეს ყუმბარები ჩვენ მარცხენა ფრთას, ტიურენჩენის უმთავრეს პოზიციას და პოტეტენძისთან ჩვენ პოზიას. ასტყდა აგრედვე თოფის სროლაც. იაპონელები მდინარე აიხეზე გადვიდნენ იერიშის მისატანად. პოზიციის დამცველნი, მეტადრე პოტეტენძის ახლო, რომელთაც წინიდან და ორივე მხრიდან სროლა აუტეხეს, გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. პოტეტენძისთან ჩვენ პოზიცია 30 ზარბაზნით ესროდენ ყუმბარებს. ჩვენმა ბატარეამ ჩააჩუმა მტრის სამთო ბატარეია, შემდეგ სროლა აუტეხა ქვეითა ჯარს და მცირე ზარალი ნახა, სანამ იძულებული არ გახდა, მეორე პოზიცია დაეკავებინა, რადგან ჩვენი ქვეითა ჯარი მოშორდა ნაპირს. იაპონელები, რომელთაც ჩვენ ყუმბარები დავუშინეთ, განუწყვეტლივ მოდიოდნენ იერიშით სულ ახალ-ახალი ჯარებით, მაგრამ შტიკებით შებრძოლებას ვერ გვიბედავდნენ. მდინარეზე გასავალ ადგილებთან დახოცილ იაპონელთა მთელი გროვები შედგა. იმავე დროს, როცა პოტეტნძიზე იერიში მიიტანეს. ტიურენჩენის პოზიციის მარცხენა ფრთაზედაც იერიშით მოვიდნენ და ჩვენ იძულებულნი ვიყავით თავი დაგვენებებინა ქვედა თხრილებისათვის, რომელთაც იაპონიის ბატარეები განუწყვეტლად ესროდნენ ყუმბარებს. ჩვენი სათადარიგო ჯარი რამდენჯერმე შეიჭრა მტრის შუაგულში და ამით შეძლება მოგვეცა, პოზიცია დიდხანს შეგვეჩერჩინა, მაგრამ შემდეგ იგი მოწინავე რაზმებს შეუერთდა. რადგან უმთავრესი სათადარიგო ჯარი შორს იდგა, ამიტომ იქიდან დროზე ვერ მიეშველენით. ჩვენმა ჯარმა უმთავრეს პოზიციიდან ტიურენჩენის უკან წყნარად დაიწია და ამავე დროს მას მტერმა ძლიერი სროლა აუტეხა. მტერმა ვერ გაბედა და მთებიდან ვერ ჩამოვიდა. მტერმა, რომელსაც ჩვენ ბატარეებითა და პატარა ზარბაზნებით დავუხვდით, თხრილების კეთება დაიწყო. ჩვენ ახალ პოზიციას მტერმა ძლიერი სროლა აუტეხა და იმავე დროს ჩვენ მარცხენა ფრთას მოუარა. ჩინგოუსა და ლიაუფანგოუზე წინ წავსწიეთ უმთავრეს სარეზერვო ჯარიდან მე-2 პოლკის 2 ბატალიონი და არტილერიის მე-3 ბრიგადის მე-3 ბატარეია, რომელთაც დაიკავეს ისეთი პოზიცია, საიდანაც ორივე მხარეზე შეიძლებოდა სროლა. ამით დაჭრილებსა და ჩვენ ჯარს, რომლის წინა ნაწილი ძრიელ დაზიანდა, უკან დახევის შეძლება მიეცა. მტრისაგან სამივე მხრიდან შემორტყმული მეთერთმეტე პოლკის ბატალიონები სცდილობდნენ გაერღვიათ მტრის ჯარი, ამისათვის მუსიკის დაკვრით შტიკებით მიესივნენ იაპონელებს, მაგრამ იაპონელები შტიკებით ბრძოლას არ იკარებდნენ და უკან იხევდნენ. პოლკს წინ ჯვრით მიუძღოდა მღვდელი, რომელიც ორი ტყვიით დასჭრეს. მხოლოდ შტიკებით ბრძოლამ შეაძლებინა მეთერთმეტე პოლკს გაერღვია მტრის ჯარი და ახლად მოსულის მეათე პოლკის დახმარებით უკან დაწეულიყო. მეთერთმეტე და მეთორმეტე პოლკების ზარალი მეტად დიდია, მაგრამ ჯერ არ არის გამორკვეული.

სხვათა შორის მეთერთმეტე პოლკში მოკლულია პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ლაიმინგი, ორი ბატალიონის უფროსი ვოდპოლკოვნიკები დომეტტი და რაევსკი; მეთორმეტე პოლკში მოკლულია ცხრა როტის უფროსი; მეექვსე საარტილერიო ბრიგადის მეორე და მესამე ბატარეებმა, რომელთაც ბევრი ჯარის-კაცი და ცხენები დაუხოცეს, ვერ მოახერხეს ზარბაზნების წაღება და ბრძოლის ველზე დასტოვეს, მაგრამ წასვლის წინად ისინი გააფუჭეს. იმავე მიზეზით დასტოვა ბრძოლის ველზე თავისი ზარბაზნები მესამე ბრიგადის მესამე ბატარეამ ექვსი დიდი ზარბაზანი და რვა პატარა. ესენიც წინადვე მოშალეს. მთიანმა ადგილმა ხელი შეუშალა ჩვენ ჯარის-კაცთ ზარბაზნები თან წაეღოთ. ფინხუანჩენში ჯერ-ჯერობით მოიყვანეს 800 დაჭრილი, მათ შორის 14 აფიცერი. დანარჩენი დაჭრილები რიგზე მოჰყავთ. ფინხუანჩენის სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოჩნდა იაპონელთა კავალერია; როცა დაინახა ჩვენი ორი როტა და ორი ზარბაზანი, ვერ გაბედა და ფინხუანჩენს ვერ მიუახლოვდა. დაჭრილების მოყვანა ძალიან გაძნელდა; ისინი მოჰყავთ ჩინელ მუშებს ორ-თვლიან ურმებითა და ცხენებით, მაგრამ დაჭრილთა უმეტესი ნაწილი ამხანაგების დახმარებით ფეხით მოდის. გენერალი ზასულიჩი იტყობინება, რომ მიუხედავად დიდის ზარალისა ჯარები სულით ძლიერნი არიან და მზად არიან კვლავ საბრძოლველად. იაპონელთა ზარალიც მეტად დიდია. მდინარე აიხეს ფონებთან ტიურენჩენის პოზიციასა და სიმაღლეებზე, სადაც იბრძოდა მე-2 პოლკის ორი ბატალიონი, ბრძოლაში მონაწილეობის მიმღებთა სიტყვით იყო მოკლულთა რიცხვი არა ნაკლებ 3000—4000-სა.

გემის „კორეეცის“ აფიცერთა გმირობის დასაჯილდოებლად, რომელნიც ჩემულპოსთან ბრძოლის დროს კრეისერ „ვარიაგთან“ ერთად მტრის დიდ ესკადრას შეებრძოლნენ, ხელმწიფე-იმპერატორმა უმაღლესად კეთილინება და უბოძა წმ. გიორგის ორდენი მეოთხე ხარისხისა უფროს აფიცერს ზასუხინს, ლეიტენანტს სტეფანოვს მეოთხეს, ლეიტენანტს ლევიცკის, მიჩმანებს ბოისმანს, ბუტლეროვს და ბირილევს, ინჟენერ მეხანიკს ფრანგს და ექიმის მერკუშევს.

ფლოტის მე-2 დივიზიის უფროსი ფლაგმანი ვიცე-ადმირალი ბეზობრაზოვი დიდ ოკეანეს ფლოტის პირველ ესკადრის სარდლად დაინიშნა. საზღვაო მთავარ შტაბის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი მისი უდიდებულესობის ამალის კონტრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმირალი რაჟესტვენსკი დაინიშნა დიდ ოკეანეს ფლოტის მე-2 ესკადრის სარდლად და ახლანდელი თანამდებობაც შერჩება. დაინიშნენ: დიდ ოკეანეს ფლოტის სარდლის შტაბში პირველ ფლაგ-კაპიტნად მეორე ხარისხის კაპიტანი სტეცენკო; მეორე ხარისხის კაპიტანი კლადო—სამხედრო საზღვაო განყოფილების უფროსად. საგენერალო შტაბის პოლკოვნიკი თავადი ვატბოლსკი—სამხერდო განყოფილების უფროსად. რადგან მე-2 ესკადრა შორეულ აღმოსავლეთში წასასვლელად საჩქაროდ ემზადება, ამ ესკადრის სარდალი კონტრ ადმირალი როჟდესტვენსკი, მისი უდიდებულესობის ნებართვით, საზღვაო მთავარ შტაბში მუშაობისგან განთავისუფლებულ იქნა; მთავარ შტაბის უფროსის თანამდებობის ასრულება კონტრ-ადმირალ ვირენიუსს მიენდო.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). იაპონიის მთავრობამ გენერალ კუროკის შემდეგი დეპეშა გამოაქვეყნა: „მტერმა თავგანწირული წინააღმდეგობა გაგვიწია. იმ დროს, როცა მტერს ვდევნიდით, რომელიც უკან იწევდა, ჩვენ კიდევ სამასი კაცი დაგვაკლდა. მტერი ბოლომდე მამაცად იბრძოდა. ბოლოს მტერს მაინც წავართვით ორი ბატარეია, რომელთაც ცხენები და სალდათები დააკლდა.—„ტოკიოდან დეპეშით იტყობინებიან, რუსების არტილერისტებმა ზარბაზნებს სოლები დაუმტვრიესო.—„იაპონიის არმიის მთავარი ექიმი მოკლე რაპორტში ამბობს, იაპონელებს 798 კაცი მოუკლეს და დაუხოცესო.

პეტერბურგი. 17 აპრილს საზღვაო უწყებას შემდეგი ბრძანება მიეცა: „უმაღლეს ბრძანების თანახმად გაუწყებთ, რომ ამას იქით შორეულ აღმოსავლეთის ზღვაში მყოფ ესკადრას დაერქმევა „დიდ ოკეანეს პირველი ესკადრა“. იმ ესკადრას, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში წასასვლელად ეხლა ემზადება, დაერქმევა „დიდ ოკეანეს ფლოტის მეორე ესკადრა“. გენერალ ადმირალი ალექსეევი“.

სევასტოპოლი. სადგურ ალექსანდროვსკაიაზე ადმირალ სკრიდლოვს ჩააბარეს კონვერტი, რომელშიაც იყო გრამოტა და წმინდა გიორგის ჯვარი მე-4 ხარისხისა, რომელიც ეკატერინე დიდმა 1793 წელს ორ ბატარეის წართმევისათვის სეკუნდ-მაიორს ვასილი ნეჩაიევს უბოძა. ადმირალმა ეს ჯვარი გულზე ჩამოიკიდა. ჯვარი დიდად განსხვავდება ეხლანდელ ჯვრებისაგან.

პორტ-არტური, 21 აპრილს, დილის 8 საათი და 40 წუთი (საკუთარის კორესპონ.). პორტ-არტურის მიდამოებში ცვლილება არ მომხდარა. გაზეთ „ნოვი კრაი“-ს სწერენ: „არა სძინავთ რუსეთის დაუძინებელ მტრებს ვიცე-კოროლ იუანშიკაიხა, გენერალ მას და იმათ მახლობელთა წინამძღოლობით. იგინი მეფის ტახტთან ვერაფერს გახდნენ და ამიტომ ეხლა, როგორც ეტყობა, არ დამშვიდნენ და ჩინეთის ყველა ქალაქსა, სოფელსა, ბაზარსა და მოედანზე რუსეთის წინააღმდეგ ძრიელ პროპაგანდას ჰმართავენ მოგზაური ორატორები იაპონელთა ძალასა და გამარჯვებებზე და რუსეთის მხრივ ჩინეთის შესახებ ვითომ და ბოროტ-განმზრახველს არაკებს ავრცელებენ და ამით ჰსურთ ჩინელები რუსების წინააღმდეგ ააღელვონ.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო“-ს განსაკუთრებული კორესპონდენტი, რომელიც იაპონელების მთავარ-შტაბში იმყოფება, იალუზე მომხდარ ბრძოლას მოკლედ ასწერს და ამბობს, რუსებს 10.000 კაცი ჰყავდათო.

21 აპრილი.

პეტერბურგი. 20 აპრილს გარდაიცვალა ომებში სახელ განთქმული გენერალი ნიკოლოოზ სტეფანეს ძე განეცკი.

ბერლინი. აქაურ დიპლომატიურ წრეებში ხმა დადის, რომ ინგლისსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებაა იმ უთანხმოებათა ასაცილებლად, რომელიც ტიბეტის საქმემ გამოიწვიაო.

ვლადივოსტოკი. ნიკოლსკ-უსურიის საპყრობილედან გაიქცა 6 რამდენჯერმე დასჯილი პატიმარი. აღმოჩნდა, რომ ისინი მორიგმა მეთვალყურემ გაუშვა. დამნაშავე დააპატიმრეს და სამხედრო სამართალში მისცემენ. გაქცეულებს ეძებენ.

ბუხარესტი. პალატამ ერთხმად მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც თხოულობენ 28 მილიონ ფრანკს სწრაფ-მსროლელ ზარბაზნებისა და მათ მოწყობილების სასყიდლად.

ბერლინი განზრახულია, გერმანიის სამხრეთ დასავლეთის კოლონიებში გაჰგზავნონ მაშველი ჯარი—სულ 1500 კაცი; მათ შორის 590 ცხენოსანი, 500 ქვეითა სალდათი და ველის 2 ბატარეია.

21 აპრილი.

კიშინევი. სამოსამართლო პალატამ გაამართლა აგეევი და ჩეკენი, რომლითაც შარშან აღდგომას კიშინევში ებრაელებზე თავდასხმის დროს ებრაელ კაინარსკის მოკვლა ჰბრალდებოდათ.

ბლაგოვეშჩენსკი. 20 აპრილს ხაბაროვსკიდან ქვეით ამურის დაყოლებაზე პირველი სათოსტო გემი გავიდა. სათოსტო გემების ჩვეულებრივი მიმოსვლა 1 მაისს დაიწყება.

პეტერბურგის ბირჟა, 20 აპრილი

ვექსილის კურსი 13 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	95,95
ბერლინისაზე 100 მარკაზე	45,92½
პარიზისაზე 100 ფრანკზე	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,60
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,67½
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	—
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	376 მყიდ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	302 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	273¾ „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	186

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

სოფელ ხაშურში
(მიხაილოვში)
ოცდა ხუთ (25) ამ თვეს მოხდება სასოფლო კანცელარიაში ვაჭრობა ახალ ეკკლესიის ასაშენებლათ. მსურველთ მოიჯარადრეებს შეუძლიანთ მიმართონ კომიტეტს ან ადგილობრივ მღვდელს. (2—2)

კბილები
და მათი მოვლა-შენახვა
სამხ.-სამკ. აკადემ. პრივ.-დოც. პ. თ. ფედოროვისა, თარგმ. კბილის ექ. ი. პ. ახალშენიშვილისა. **ისყიდება:** „ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ.“ და „წიგნ. გამომც. ქართ. ამხ.“ წიგნის მაღაზიასა და კიოსკში და მთარგმნელთან (ელისაბედის ქ., № 38). ვინც ნაღდ ფულად 100 ცალზე არა ნაკლებს დაიბარებს, 40% დაეთმობა. წიგნაკს დართული აქვს 7 ნახატი (ორი ფერადი), შეიცავს 124 გვ. და ღირს 40 კაპ. (0—6.—6)

გენერალნოე ობშჩესტვო
(Генеральное общество)
სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა
აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;
2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევს საზოგადოებიდან ერგება, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;
3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.
4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;
5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.
6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;
7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;
8) პრემიების სიიაფეს;
9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;
10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;
11) საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;
12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;
13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;
14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის დასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.
აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—3)

ვერმორელის პულვერიზატორების
ფაბრიკისაგან ვილფრანშში (საფრანგეთშია).


Torpille

ბოლო ხანებში ბაზარზე გაჩნდა ბევრი პულვერიზატორი, რომელიც გარეგანად ძალიან წააგავს ჩემ მიერ გამოგონილსა და ყველასაგან ცნობილ მრავალ წლობით გამოცდილ პულვერიზატორებს სახელწოდებით "ECLAIR". ამის გამო ვაცხადებ, რომ ნამდვილს, ჩემს ფაბრიკაში მომზადებულს, პულვერიზატორს „ეკლერ“-ს შემდეგი წარწერები აქვს ფრანგულად: რეზერვუარს ECLAIR VERMOREL (იხ. სურ. № 1) და აპპარატში—VERMOREL VILLEFRANCHE (Rhone) Bté S. G. D. G. (იხ. სურ. № 2), ხოლო სახურავზე, როგორც მე-3 სურათზეა ნაჩვენები, წარწერილია VERMOREL Bté S. G. D. G.

ყველა აპპარატები, რომელნიც ჩემსას წააგავენ, მაგრამ ნაჩვენები წარწერები არა აქვთ, ყალბებია.

მთელს რუსეთში ერთად ერთი ჩემი წარმომადგენელი არის **მ. ე. ფრიდონოვი.** მისი ადრესი: ტფილისი, სერგიევსკი ქუჩა, № 11. (10—4)



სურათი № 1



სურათი № 2


VERMOREL Bté S.G.D.G.

სურ. № 3

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.
ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6.—2)

Доз. ценз. Тифлисъ 21 Апрѣля 1904 г. ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ის.). (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).